ხელშეკრულება ელექტრონული კომერციით მომსახურების შესახებ

თბილისი **—— ---------- წ.**

ერთის მხრივ, სს "თიბისი ბანკი" (შემდგომში „ბანკი"), წარმოდგენილი -------- ----------ს სახით და მეორე მხრივ, ------- ---------- (შემდგომში „კომპანია/სუბ-ექვაირერი"), წარმოდგენილი -------- ----------ს სახით, ვდებთ ხელშეკრულებას ელექტრონული კომერციით მომსახურების შესახებ და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ტერმინთა განმარტება

1.1. კომპანია (მეწარმე / გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი და/ან იურიდიული პირი / ორგანიზაციული წარმონაქმნი) უზრუნველყოფს VISA და MasterCard საერთაშორისო ბარათების და თიბისი ელ-კომერციის და/ან TPAY QR და/ან GEOPAY არხის გამოყენებას, როგორც საგადახდო საშუალებას, მერჩანტის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის/ გაყიდული საქონლის ღირებულების მიღების მიზნით, ხოლო ბანკი ხელშეკრულების შესაბამისად უზრუნველყოფს მერჩანტის მიერ რეალიზებული საქონლის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას VISA და MasterCard საერთაშორისო ბარათების გამოყენებით;

1.2. ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინთა განმარტებები და წესები ეყრდნობა საერთაშორისო საგადახდო სისტემის VISA International-ის და Mastercard Worldwide-ის წესებს. ამასთან, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები თანხმდებიან, რომ საქონლის (ნივთის) / მომსახურების ღირებულების მიმდინარე / მოთხოვნამდე ანაბრის ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით ანგარიშსწორებისას, უპირატესად გამოიყენება ბანკის შიდა პოლიტიკით/პროცედურ(ებ)ით/სტანდარტ(ებ)ით და საქართველოს კანონმდებლობით და დგენილი წესები/მოთხოვნები, რაც არ გამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით / საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ განსაზღვრული/დადგენილი წესებით / მოთხოვნებით/პირობებით/დებულებებით,

ავტორიზაცია – ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის: ბარათზე გარიგების შესაბამისი თანხის არსებობის შემოწმებისა და მისი ბლოკირების პროცედურა; გარიგების მოთხოვნაზე თანხმობის ან უარის მიღების პროცედურა.

ტრანზაქცია – ავტორიზაციისა და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა.

ბარათი - საერთაშორისო საანგარიშსწორებო საბანკო პლასტიკური ბარათი - VISA და Mastercard.

ბარათის მფლობელი (კლიენტი) – პირი, რომელიც იყენებს საბანკო ბარათს ან Digital wallet-ს ემიტენტთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

ბაჩი – 24 საათის განმავლობაში შესრულებულ განაღდებათა ჯამური თანხა, რომელსაც ელ. კომერციის სისტემა ავტომატურად აგზავნის საპროცესინგო ცენტრში.

ჩარჯბეკი - განსაზღვრული პროცედურა, როდესაც ბარათის ემიტენტი ან მფლობელი, VISA International-ის და Mastercard Worldwide-ის წესების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასაჩივრებს შესრულებულ ტრანზაქციას და უკან ითხოვს ტრანზაქციის მთლიან ან ნაწილობრივ თანხას ექვაიერისაგან (ტრანზაქციის შემსრულებელი ბანკისაგან). იმ შემთხვევ(ებ)ისთვის, როდესაც ხდება მიმდინარე ანგარიშ(ებ)ის მეშვეობით შესრულებული ტრანზაქცი(ებ)ის გასაჩივრება, ჩარჯბეკის პროცედურა განსხვავდება ბარათით შესრულებულ

ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული ჩარჯბეკის პროცედურისგან და ხელნეგული უპირატესად რეგულირდება/წარიმართება საქართველოს კანონმდებლობით და ბანკის შიდა პოლიტიკით/პროცედურებით/სტანდარტებით განსაზღვრული/დადგენილი წესების შესაბამისად, რაც არგამორიცხავს ბანკის უფლებამოსილებას, იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით / საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ განსაზღვრული/დადგენილ წესებით/მოთხოვნებით/პირობებით/დებულებებით.

ანგარიში - მერჩანტის/კლიენტის კუთვნილი საანგარიშსწორებო (მიმდინარე/საბარათე/მოთხოვნამდე ანაბრის) ანგარიში, რომლის მეშვეობითაც ხდება საქონლის (ნივთის) შეძენასთან / მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ანგარიშსწორება.

საკომისიო – ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების საზღაური, რომელსაც კომპანია უხდის ბანკს ხელშეკრულებით დადგენილი წესის და ტარიფების შესაბამისად.

ავანსად აღებული საკომისიო - საკომისიოს ოდენობა, რომელსაც ბანკი წინასწარ ჩამოწერს კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან.

შევსებადი საკომისიო - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ კომპანიის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანაგრიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას. მხარეები თანხმდებიან, რომ წინა თვის ბრუნვიდან მიღებულ საკომისიოდ არ ჩაითვლება საკომისიო, რომელიც დაერიცხება წინა თვეში განხორციელებულ ტრანზაქციას, თუმცა ჩამოიწერება მომდევნო / მიმდინარე თვეში.

დაქვითვა – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების განხორციელების მიზნით კომპანიის საბანკო ანგარიშიდან/ანგარიშებიდან ფულადი თანხების ჩამოწერა.

მოკვლევა – ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ნებისმიერი სახის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში ბანკის მიერ ინფორმაციის შეგროვებისა და დაზუსტების პროცესი.

საერთაშორისო საგადახდო სისტემა - საერთაშორისო საგადახდო სისტემა "ვიზა" და "მასტერქარდი".

სადაზღვევო რეზერვი - ხელშეკრულების თანახმად კომპანიის მიერ ბანკისათვის გადარიცხული ფულადი სახსრები ან/და ბანკის მიერ კომპანიისათვის გარიგების თანხიდან დაკავებული ფულადი სახსრები რომელსაც ბანკი დააკავებს კომპანიის ანგარიშის გაუვლელად და რომელიც განთავსდება შიდასაბანკო ანგარიშზე.

სადაზღვევო რეზერვის აუცილებელი ბალანსი - ხელშეკრულების შესაბამისად ბანკის მიერ განსაზღვრული სადაზღვევო რეზერვის მინიმალური ნაშთი.

დაბრუნების ოპერაცია - კლიენტისთვის ფულადი სახსრების დაბრუნების ოპერაცია, რომლის ინიცირებას ახდენს კომპანია კლიენტის მიერ საქონლის დაბრუნების ან მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში.

სამუშაო დღე - კალენდარული დღე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა (დროის პერიოდი 10:00-დან 18:00-მდე).

გარიგება - მერჩანტსა და კლიენტს შორის დადებული გარიგება საქონლის/მომსახურების შეძენაზე, რომელზეც ანგარიშსწორებები ხორციელდება ბარათებისა და ელექტრონული მაღაზიის სისტემის გამოყენებით.

ელექტრონული მაღაზიის სისტემა - მერჩანტის პროგრამულ-სააპარატო კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს საქონლის/მომსახურების შესახებ მონაცემების ინტერნეტის ქსელში წარმოდგენას და გარიგებების დადებას.

გარიგების თანხა - ფულადი სახსრები, რომლებიც მერჩანტსა და კლიენტს შორის დადებული გარიგებებისა და ამ ხელშეკრულების შესაბამისად გადახდილი უნდა იქნას კომპანიისათვის, კლიენტის მიერ შეძენილი საქონლის/მომსახურების ღირებულების მერჩანტისთვის ანაზღაურების სახით.

საქონელი/მომსახურება - მერჩანტის მიერ ელექტრონული მაღაზიის გამოყენებით რეალიზებადი საქონელი/მომსახურება.

ემიტენტი - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საბანკო ბარათების გამოშვებას და კლიენტებისთვის გადაცემას შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ელექტრონული ჟურნალი - გარიგებების შესახებ ინფორმაციის ერთობლიობა ელექტრონული ფორმით, რომელიც ფორმირდება საგადასახდელო სისტემის მიერ ელექტრონული მაღაზიის სისტემაში ბარათებით გადახდისას. ელექტრონული ჟურნალი წარმოადგენს საფუძველს კომპანიასა და ბანკს შორის ანგარიშსწორებების განსახორციელებლად.

Digital wallet - პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ინახავს კლიენტის ბარათთან ასოცირებულ თოქენს და შესაძლებელს ხდის ანგარიშსწორება განხორციელდეს ელექტრონული კომერციით და/ან პოს ტერმინალით. Digital Wallet-ით განხორციელებულ ტრანზაქციებზე ვრცელდება ამ ხელშეკრულებით საბარათე ტრანზაქციებისთვის განსაზღვრული პირობები.

პრეავტორიზაცია - გარიგების თანხის დროებითი დაბლოკვა, რასაც უნდა მოყვეს მერჩანტის მიერ დაბლოკილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ დადასტურების (კომიტის) ან კლიენტისთვის დაბრუნების ოპერაცია. დაბლოკვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მერჩანტის მიერ კომიტის განუხორციელებლობის ან კლიენტისათვის გარიგების თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ავტომატურად განხორციელდება გარიგების თანხის განბლოკვა.

სუბ-ექვაირინგი – საქმიანობა, რომელიც მოიცავს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიის მიერ მერჩანტ(ებ)თან / სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)თან ხელშეკრულების გაფორმებას და მათთან ანგარიშსწორებას;

სუბ-ექვაირერი – კომპანია, რომელიც ახორციელებს სუბ-ექვაირინგს;

მერჩანტი/სავაჭრო ობიექტი– სავაჭრო ან/და მომსახურების ობიექტი, რომელიც სარგებლობს სუბ-ექვაირერის მიერ შეთავაზებული ელექტრონული კომერციის მომსახურებით;

2. ბანკის უფლებები და მოვალეობები

2.1. ხელშეკრულების შესაბამისად ბანკი იღებს ვალდებულებას:

2.1.1. ელექტრონული ჟურნალის მონაცემებზე დაყრდნობით და განაცხადით / ბანკის ვებგვერდზე დადგენილ (საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ) ვადებში გადაურიცხოს კომპანიას გარიგებ(ებ)ის თანხები ეროვნულ ვალუტაში კომპანიის მიერ ბანკისათვის მიწოდებულ რეკვიზიტებზე.

2.1.2. სტანდარტული პირობების 2.1.1 პუნქტში მითითებული გადარიცხვა განახორციელოს ბანკის მიერ საგადახდო სისტემისგან ბაჩის მონაცემებზე დაყრდნობით.

2.1.3. კომპანიის მოთხოვნით მიაწოდოს მას ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით ანგარიშები/ინფორმაცია/დოკუმენტაცია მერჩანტის გარიგებებზე.

2.1.4. შეატყობინოს კომპანიას თაღლითური ტრანზაქციის თაობაზე ბარათის ემიტენტის მიერ განცხადების და/ან ჩარჯბეკის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღეს.

2.1.5. უზრუნველყოს ტრანზაქციის თანხის კომპანიის ანგარიშზე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადარიცხვა / ასახვა ტრანზაქციის განხორციელებიდან არაუგვიანეს მეორე/მომდევნო საბანკო დღეს.

2.2. ხელშეკრულების შესაბამისად ბანკს უფლება აქვს:

2.2.1. უაქცეპტო წესით (კომპანიის შემდგომი თანხმობის გარეშე) ჩამოწეროს კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან ქვემოთ მოცემული თანხები:

1) ბანკის საკომისიოს თანხები;

2) დაბრუნების ოპერაციის თანხები;

3) ბარათის ემიტენტის მიერ თაღლითურ ტრანზაქციებად განცხადებული ან/და გასაჩივრებული ტრანზაქციები (ჩარჯბეკები);

4) საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ კომპანიის მხარეს დაფიქსირებული ინციდენტის შედეგად ან/და ბრალეულობით ბანკზე დაკისრებული ჯარიმები.

2.2.2. უაქცეპტო წესით ჩამოწეროს გარიგებების თანხებიდან ფულადი სახსრები სადაზღვევო რეზერვის აუცილებელი ბალანსის შესანარჩუნებლად.

2.2.3. შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს საერთაშორისო საგადახდო სისტემას კომპანიის შესახებ ბანკისთვის ცნობილი ინფორმაცია (კომპანიის შესახებ ბანკის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია).

2.2.4. იმ შემთხვევაში თუ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში ჩარჯბეკების თანხა ან/და ოდენობა

მიაღწევს გარიგებების საერთო თანხის ან/და ოდენობის 1%-ს (ერთი პროცენტი) ან მკვეთრად გაიზრდება ტრანზაქციების რაოდენობა ან/და თანხა, მიზეზის დადგენამდე (შემოწმების საფუძველზე), დროებით შეაჩეროს კომპანიასთან ანგარიშსწორება და ბარათების მომსახურება.

2.2.5. მოითხოვოს კომპანიისგან ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც ჩარჯბეკის შემთხვევაში, აგრეთვე ნებისმიერი საეჭვო და უკანონო გარიგებისას.

2.2.6. შეაჩეროს ოპერაციების სადღეღამისო ავტორიზაცია კომპანიის მიერ ბანკის მოთხოვნების დაუკმაყოფილების შემთხვევაში, რომლებიც დაკავშირებულია სადაზღვევო რეზერვთან გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან.

2.2.7. მიმდინარე თვეში შეაჩეროს ოპერაციების სადღეღამისო ავტორიზაცია იმ შემთხვევაში, თუ მერჩანტმა გადააჭარბა გასული თვის განმავლობაში მისთვის განსაზღვრულ ლიმიტ(ებ)ს ელექტრონულ მაღაზიაში განხორციელებულ ოპერაციებზე.

2.2.8. თუ სადაზღვევო რეზერვის აუცილებელი ბალანსი ვერ ფარავს ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ, ბანკის მიმართ არსებულ კომპანიის ვალდებულებებს, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს საჭირო ფულადი სახსრები კომპანიის გარიგებების თანხებიდან ან/და ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან. გარიგებების არარსებობის ან/და ანგარიშ(ებ)ზე თანხების არარსებობის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია ბანკის შეტყობინების მიღების საფუძველზე უზრუნველყოს ვალდებულებების დაუყოვნებლივი შესრულება.

2.2.9. კომპანიის დამატებითი თანხმობის გარეშე, გაუხსნას კომპანიას საანგარიშსწორებო (მიმდინარე, საბარათე, სარეალიზაციო და სხვა მსგავსი) ან/და მოთხოვნამდე ანაბრის (სადეპოზიტო) ანგარიში ნებისმიერ ვალუტაში იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ კომპანიას არ აქვს ასეთი ანგარიში ან/და საჭიროა ასეთი ანგარიშის დამატებით გახსნა (კომპანიის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, საანგარიშსწორებო ანგარიშ(ებ)ზე არსებული ვალუტისაგან განსხვავებული ვალუტის თანხის ჩარიცხვის ოპერაციის და სხვ. მიზნით). ამ შემთხვევაში, ეს ხელშეკრულება ან/და განაცხადი, ჩაითვლება კომპანიის განაცხადად შესაბამისი ანგარიშის გახსნის შესახებ.

2.2.10. ავანსად აღებული საკომისიო ჩამოჭრას (ჩამოწეროს) კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან კომპანიისგან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი მომსახურებით სარგებლობაზე დისტანციური არხით (მათ შორის ინტერნეტ-ბანკით, ელექტრონული ფოსტით) მიღებული შეტყობინების (მოთხოვნის / თანხმობის) გაფორმებისთანავე / მიღებისთანავე. თუ კომპანიის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი გადააჭარბებს ავანსად აღებული საკომისიოს ოდენობას, ავანსად აღებული საკომისიო სრულად დაუბრუნდება კომპანიას ანგარიშზე, ხოლო თუ საკომისიოს ოდენობა აღმოჩნდება ავანსად აღებულ საკომისიოს თანხაზე ნაკლები, კომპანიას შესაბამისი საკომისიოები ანგარიშ(ებ)იდან ჩამოეწერება ამავე დებულებით გათვალისწინებული ლოგიკის (წესების) შესაბამისად.

2.2.11. ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, არ დაუბრუნოს კომპანიას ავანსად აღებული საკომისიო.

2.2.12. მერჩანტის მიერ კომიტის გარიგების თანხის დაბლოკვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის შემდგომ განხორციელების შემთხვევაში, კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს კომპანიის მიერ დაგვიანებით დადასტურებული გარიგების თანხა.

2.2.13 ბანკის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე მერჩანტის ტრანზაქციული აქტიურობის გათვალისწინებით, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, კომპანიისთვის წინასწარ შეტყობინების / კომპანიის წინასწარი თანხმობის გარეშე გაზარდოს/შეამციროს მერჩანტისთვის ამ ხელშეკრულებით (მისი დანართით) განსაზღვრული ტრანზაქციული ლიმიტ(ებ)ი.

2.3. სადაზღვევო რეზერვი განსაზღვრულია განაცხადში / ბანკის ვებგვერდზე, თუმცა ბანკს მისი გადაწყვეტილებისამებრ შეუძლია ნებისმიერ დროს გაზარდოს ან შეამციროს აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლი. ცვლილებები უნდა ეფუძნებოდეს კომპანიის მიერ ჩარჯბეკებთან ან დაბრუნებულ გადასახადებთან დაკავშირებულ ინდიკატორებს და ოდენობას, ანგარიშების მდგომარეობას, ტრანზაქციების მოცულობას და სხვა ძირითად ფაქტორებს სტანდარტების შესაბამისად.

2.4. ბანკი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეაჩეროს ანგარიშსწორებები კომპანიასთან ან/და შეწყვიტოს ხელშეკრულება მნიშვნელოვანი გარემოებების არსებობისას, რომლებიც ზიანს ან ზარალს აყენებს VISA-ს და/ან Mastercard-ს ანგარიშსწორების სისტემების რეპუტაციას.

2.5 ბანკი უფლებამოსილია არ დაარეგისტრიროს, შეაჩეროს ან გააუქმოს კომპანიის ნებისმიერი მერჩანტი თუ ბანკი ჩათვლის რომ მერჩანტი არ შეესაბამება ბანკის მიერ დადგენილ რისკების შეფასების სტანდარტებს.
2.6 ბანკი უფლებამოსილია დაადგინოს კომპანიის თითოეული მერჩანტის ტრანზაქციული ლიმიტ(ებ)ი მისი რისკების შეფასების პროცედურების შესაბამისად / მერჩანტის ტრანზაქციული აქტიურობის გათვალისწინებით და ხსენებული ლიმიტ(ებ)ის ოდენობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს კომპანიას დისტანციური არხის (ინტერნეტ-ბანკის) საშუალებით. ამასთან, ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ცალმხრივად გაზარდოს/შეამციროს მერჩანტისთვის განსაზღვრული ტრანზაქციული ლიმიტ(ებ)ი.
2.7 ბანკი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და ამონაწერები მიაწოდოს მხოლოდ სუბ-ექვაირერს, ასევე ანგარიშწორება განახორციელოს მხოლოდ სუბ-ექვაირერთან, რაც გამორიცხავს ბანკის ვალდებულებას ინფორმაცია გადასცეს მერჩანტს და/ან პირდაპირ მერჩანტთან უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშწორება.
2.8 ბანკი უფლებამოსილია უარი განუცხადოს სუბ ექვაირერს მომსახურების გაწევაზე, თუ მას არ ექნება აქტიური ანგარიში/ები ბანკში
2.9 ბანკს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი სუბ ექვაირერის ფულადი ვალდებულებების შესრულების მიზნით, სუბ ექვაირერის შემდგომი თანხმობის, ან ნებართვის გარეშე, ასეთი ვალდებულების წარმოშობის შემდეგ ნებისმიერ დროს, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს შესაბამისი თანხები სუბ ექვაირერის ნებისმიერი სახის ანგარიშიდან. სხვადასხვა ვალუტაში თანხის ჩამოწერის დროს, კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონვერტაცია განხორციელდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კომერციული კურსით.
2.10. თუ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებ(ებ)ისთვის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულია ბანკის სტანდარტული ტარიფ(ებ)ისგან განსხვავებული/შეღავათიანი გადასახდელ(ებ)ი/ტარიფ(ებ)ი იმ პირობით/მიზნით, რომ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში კომპანია ბარათ(ებ)ით გადახდების მიღებისას უპირატესად ისარგებლებს სს „თიბისი ბანკის“ ელექტრონული კომერციის მომსახურებით, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს კომპანიისთვის განსაზღვრული განსხვავებული/შეღავათიანი გადასახდელ(ებ)ი/ტარიფ(ებ)ი კომპანიის მიერ ამავე პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევისთანავე.

3. კომპანიის უფლებები და მოვალეობები

3.1. ხელშეკრულების შესაბამისად კომპანია იღებს ვალდებულებას:
3.1.1. ბანკში გახსნას მიმდინარე ანგარიში (თუკი მას უკვე არ აქვს ამგვარი ანგარიში), სადაც ჩაერიცხება ხელშეკრულების საფუძველზე მერჩანტის მიერ მისაღები თანხები.
3.1.2. მას შემდეგ, რაც ბანკი უზრუნველყოფს მერჩანტის რეგისტრაციას საგადახდო სისტემის მონაწილედ, კომპანიამ უზრუნველყოს მერჩანტის მიერ ელექტრონული მაღაზიის ვებგვერდზე საბანკო ბარათების გამოყენებით ანგარიშსწორების განხორციელების წესების შესახებ ინფორმაციის განთავსება.
3.1.3. გააკონტროლოს მერჩანტის მიერ ელექტრონული მაღაზიის სისტემის გამოყენებით განახორციელოს საქონლის/მომსახურების რეალიზება მისი (მერჩანტის) საქმიანობის მიმართულების შესაბამისად.
3.1.4. ბანკისგან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადაუხადოს ბანკს:

- კომპანიის მიერ დაბრუნების ოპერაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;
- ბარათის ემიტენტის მიერ გასაჩივრებული ტრანზაქციები (ჩარჯბეკები);
- საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ კომპანიის მხარეს დაფიქსირებული ინციდენტის შედეგად ან/და კომპანიის ბრალეულობით ბანკზე დაკისრებული ჯარიმები/გადასახდელები;
- ბანკისათვის მიყენებული ნებისმიერი ზარალი/ზიანი, რომელიც გამოწვეულია კომპანიის მიერ ბანკის შესახებ არასწორი/არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებით.

3.1.5. წერილობით აცნობოს კომპანიის საკონტაქტო მონაცემებში (იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი) განხორციელებული ყველა ცვლილების შესახებ, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის ცვლილების (მათ შორის,

სამართლებრივი სტატუსის, საქმიანობის შეცვლის, ლიკვიდაციის, გაკოტრების) შესახებ. ამ ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე / განხორციელებისთანავე.
3.1.6. დაიცვას მოთხოვნები ელექტრონული მაღაზიების ვებგვერდების მიმართ, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო საგადახდო სისტემების მიერ და მოცემულია დანართ #1-ში.
3.1.7. შეასრულოს ხელშეკრულების 3.1.4. პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები ბანკის მიერ საერთაშორისო საგადახდო სისტემებში თითოეული ავტორიზებული მოთხოვნის გაგზავნიდან 180 (ას ოთხმოცი) დღის განმავლობაში. შესაბამისად, ბანკს უნარჩუნდება კომპანიის სადაზღვევო რეზერვის და/ან სხვა ანგარიშებიდან ხელშეკრულების 3.1.4. პუნქტში მითითებული თანხების უაქცეპტო წესით ჩამოწერის უფლება ბანკის მიერ საერთაშორისო საგადახდო სისტემებში თითოეული ავტორიზებული მოთხოვნის გაგზავნიდან 180 (ას ოთხმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.
3.1.8. უზრუნველყოს ბანკისთვის ყველა იმ ინტერნეტ-რესურსის და/ან სხვა საინფორმაციო რესურსის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა, რომელსაც მერჩანტი იყენებს საქონლის/მომსახურების რეალიზებისთვის.
3.1.9. მერჩანტთან გაფორმებული ხელშეკრულებით მერჩანტს განუსაზღვროს შემდეგი შეზღუდვები:
3.1.9.1 არ განახორციელოს ტრანზაცია (არ მიიღოს გადახდა), რომელიც მიზანმიმართული არ იქნება მის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზებისთვის.
3.1.9.2 არ მიიღოს მონაწილეობა ტრანზაქციებში / ფიქტიურ ოპერაციებში (კლიენტ(ებ)ისთვის სერვისის/მომსახურების მიწოდების გარეშე), რომელიც პირდაპირ და/ან ირიბად დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან.
3.1.9.3 არ წარმოადგინოს ოპერაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მატერიალური და/ან ელექტრონული ფორმით), თუ იცის (ან უნდა იცოდეს), რომ ყალბია და/ან არ არის ნებადართული ბარათის მფლობელის მიერ.
3.1.9.4 არ მოითხოვოს მომხმარებლისგან ბარათის შესახებ ინფორმაციის (ბარათის ნომერი, მოქმედების ვადა და ა.შ.) კომპანიის ვებგვერდზე შეყვანა; არ დაუშვას ბარათის შესახებ ინფორმაციის შენახვა და/ან გამჟღავნება/გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის (გარდა კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა) და მკაცრად დაიცვას საბარათე ოპერაციების შესრულების უსაფრთხოება.
3.1.9.5 დაიცვას მომხმარებლის კონფიდენციალურობის პოლიტიკა.
3.1.9.6 იქონიოს და წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შეინარჩუნოს შესაბამისი მოწყობილობები, აპარატურა და/ან სხვა საშუალებები (მათ შორის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, შიდა კონტროლის მექანიზმები და სხვა სახის ტექნიკური აღჭურვილობა) ინფორმაციის უსაფრთხოების / კონფიდენციალურობის სტანდარტების დაცვის და კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულად შესაბამისობის მიზნით.
3.1.9.7 ტრანზაქციის განხორციელებამდე გადამხდელისათვის თვალსაჩინო გახადოს ტრანზაქციის თანხა.
3.1.9.8 არ განუცხადოს უარი მომხმარებელს საქონლის/მომსახურების შეძენაზე ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული სერვისის გამოყენებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოპერაცია / ტრანზაქცია კომპანიის მიერ საეჭვოდ იქნა მიჩნეული.
3.1.9.9 განახორციელოს კომიტი გარიგების თანხის დაბლოკვიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.
3.1.10. ბანკის მიერ განსაზღვრული საკომისიოების დროულად და/ან სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გადახდის თაობაზე ბანკის შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს ყველა გადასახდელის სრულად გადახდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს წინამდებარე ხელშეკრულებით და/ან მისი დანართებით გათვალისწინებული ნებისმიერი მომსახურება (მათ შორის ელექტრონული კომერციის მომსახურება), ხოლო მომსახურების შეჩერებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეწყვიტოს მომსახურება (მათ შორის ელექტრონული კომერციის მომსახურება).
3.1.11. მოახდინოს თითოეული მერჩანტის რეგისტრაცია და იდენტიფიკაცია საქართველოს ეროვნული ბანკის, საგადახდო სისტემების და სხვა მარეგულირებლების რეგულაციების შესაბამისად.
3.1.12. ზედმიწევნით დაიცვას მარეგულირებლების და საგადახდო სისტემების მოთხოვნები.

3.1.13. კომპანია ვალდებულია ბანკს წარუდგინოს ბანკის მიერ მერჩანტის შესახებ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია და/ან დოკუმენტაცია როგორც მერჩანტის რეგისტრაციისას, ასევე რეგისტრაციის შემდგომ პერიოდში.
3.1.14. გადაუხადოს ბანკს „მასთერქარდ“ საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად/დაცვით კომპანიის Payment facilitator-ად რეგისტრაციის ყოველწლიური საკომისიო 3500 (სამი ათას) ევროს ოდენობით“ ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და შემდეგ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების ხელმოწერიდან ყოველი შემდეგი 12 კალენდარული თვის ამოწურვამდე. ამ პუნქტით დადგენილი ოდენობით/პერიოდულობით საკომისიოს გადაუხდელობის შემთხვევაში, ბანკს უფლება აქვს შეუჩეროს კომპანიას ელექტრონული კომერციით მომსახურება და/ან შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება.
3.1.15. აკონტროლოს მერჩანტის ტრანზაქციული ლიმიტები.
3.1.16. ბანკის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს მერჩანტ(ებ)ის მიერ განხორციელებული ტრანზაქციის დეტალები.
3.1.17. ბანკის მოთხოვნის შემთვევაში, დაუყოვნებლივ და/ან ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში მიაწოდოს ბანკს ტრანზაქციასთან/მერჩანტთან დაკავშირებული ინფორმაცია და/ან დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის/დოკუმენტაციის ბანკისათვის წარუდგენლობის მიზეზით ბანკს მიადგება ნებისმიერი სახის ზიანი, სუბ-ექვაირერი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს ბანკს აღნიშნული ზიანი.
3.1.18 იმ შემთხვევაში, თუ მერჩანტის ნებისმიერი ტრანზაქციის გასაჩივრების შედეგად ზიანი მიადგება ბანკს (მათ შორის და არამხოლოდ მესამე პირების მიერ ბანკისათვის მოთხოვნილი/დაკისრებული თანხები, ბანკისათვის დაკისრებული ჯარიმები/გადასახდელები და ა.შ.) სუბ ექვაირერი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს მიყენებული ზიანი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.
3.2. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად კომპანია უზრუნველყოფს, რომ:
3.2.1 მერჩანტის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ოპერაცია ასახავდეს ბარათის მფლობელის მიერ განხორციელებული ოპერაციის დეტალებს. მერჩანტის კოდი (MCC) შეესაბამებოდეს იმ კოდს, რომელიც მინიჭებული აქვს მერჩანტს ბანკის მიერ. ინტერნეტ-შესყიდვის ოპერაციები განხორციელდება მერჩანტის იმ ვებგვერდზე, რომელიც მითითებულია კომპანიის მიერ დაფიქსირებულ (ბანკისათვის მიწოდებულ) დოკუმენტაციაში.
3.2.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.2.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევისათვის, კომპანია გადაუხდის ბანკს პირგასამტეხლოს 25 000 აშშ დოლარის ოდენობით თითოეულ ასეთი ტიპის დარღვევისთვის.
3.2.3 ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საგადახდო საშუალება / არხ(ებ)ი მერჩანტ(ებ)მა გამოიყენოს მხოლოდ გაწეული მომსახურების საფასურის / გაყიდული საქონლის ღირებულების მიღების მიზნით.
3.2.4 მერჩანტ(ებ)მა არ დააწესოს რაიმე დამატებითი გადასახადი ტრანზაქციაზე.
3.2.5 მერჩანტ(ებ)მა არ განახორციელოს ტრანზაცია (არ მიიღოს გადახდა), რომელიც მიზანმიმართული არ იქნება მის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებული პროდუქციის/მომსახურების რეალიზებისთვის.
3.2.6 კომპანია პასუხს აგებს თავისი თანამშრომლების ქმედებებზე, კომპანიასთან შრომითი ურთიერთობების პერიოდში.
3.2.7 განახორციელებს ფულის გათეთრების აკრძალვას და მიიღებს შესაბამის ზომებს, დაიცავს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ და ამასთან ერთად საგადახდო ორგანიზაციების VISA/Mastercard რეგულაციებს ფულის გათეთრების შესახებ. ამასთან, კომპანია, მერჩანტთან დადებული ხელშეკრულებით, თითოეულ მერჩანტს განუსაზღვრავს ამ პუნქტში აღწერილი ზომების მიღებას / ქმედებების განხორციელებას და მათ განუხრელ დაცვას.
3.2.8 მერჩანტის მიერ არ განხორციელდეს მომსახურების/საქონლის ექსპორტი იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს სამართლებრივი და/ან ექსპორტის შეზღუდვები.
3.2.9 აიკრძალოს კრედიტული ტრანზაქციის გატარება ანალოგიურ ტრანზაქციაზე დებეტური გატარების გარეშე.
3.2.10 კომპანიის მიერ აღებული ნებისმიერი ვალდებულება შესრულდება სრულად და ჯეროვნად.
3.3. კომპანიას უფლება აქვს:

3.3.1. მიიღოს ბანკში დამატებითი კონსულტაციები და განმარტებები ბარათებით ოპერაციების ჩატარების საკითხებზე;
3.3.2. განახორციელოს დაბრუნების ოპერაციები;
3.3.3. მიიღოს ამონაწერები კომპანიის / მერჩანტ(ებ)ის მიერ შესრულებულ გარიგებებთან დაკავშირებით.
3.3.4 არ ჩართოს საკუთარ სისტემაში მერჩანტი ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე;
3.3.5 ბანკის მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ბანკს მერჩანტების სრული სია მათ მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან და/ან დოკუმენტაციასთან ერთად;
3.3.6 არ მოემსახუროს და/ან დაუყოვნებლივ შეუჩეროს მომსახურება მერჩანტებს, რომელთა საქმიანობასაც წარმოადგენს:

3.3.6.1 პორნოგრაფია;
3.3.6.2 არალიცენზირებული/უაქციზო პროდუქციით ვაჭრობა მათ შორის თამბაქო, ალკოჰოლური სასმელი და სხვა (მხოლოდ ელ.კომერციის შემთხვევაში)
3.3.6.3 თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობით ინტერნეტით საცალო ვაჭრობა გარდა თამბაქოს აქსესუარისა ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობისა, რომელზედაც არ არის დატანილი თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთა ნაწარმის (საქონლის) სასაქონლო ნიშანი ან/და დასახელება (მხოლოდ ელ.კომერციის შემთხვევაში);
3.3.6.4 საბრძოლო იარაღით და სხვა არალიცენზირებული იარაღით ვაჭრობა და წარმოება;
3.3.6.5 არალიცენზირებული ციფრული კონტენტი (მხოლოდ ელ.კომერციის შემთხვევაში)
3.3.6.6 რეპლიკა „ფეიქ“ პროდუქცია (მხოლოდ ელ.კომერციის შემთხვევაში)
3.3.6.7 ფორექსი/ბაინერი/ოფციონები
3.3.6.8 მედიკამენტები რომლებიც გაიცემა რეცეპტით (მხოლოდ ელ.კომერციის შემთხვევაში)
3.3.6.9 ონლაინ კაზინოები და სხვა სათამაშო ბიზნესი (იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში არ არის ფიზიკური წარმომადგენლობა);
3.3.6.10 სხვა არალეგალური საქმიანობები, როგორიცაა ტრეფიკინგი, პროსტიტუცია, ნარკოტიკებით ვაჭრობა და სხვ.
3.3.6.11 ნარკოტიკული საშუალებებით, მათ შორის ე.წ „მსუბუქი ნარკოტიკით“ და მათი მოწყობილობებით ვაჭრობა.

3.3.7 სუბ ექვაირერის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 3.3.6 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეაჩეროს და/ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება და მოსთხოვოს სუბ ექვაირერს ბანკისათვის პირგასამტეხლოს გადახდა -- --- ლარის ოდენობით;

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, სრულად და/ან არასათანადოდ შესრულებაზე, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4.2. კომპანიის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, ნაწილობრივ ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, კომპანია იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს ბანკს როგორც გაუფრთხილებლობით, ასევე განზრახ მიყენებული ნებისმიერი სახის პირდაპირი და არაპირდაპირი

ზიანი/ზარალი.

4.3. ბანკის პასუხისმგებლობა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე შეზღუდულია ბანკის მიერ მხოლოდ განზრახ მიყენებული პირდაპირი ზიანით, შესაბამისად კომპანია აცნობიერებს, რომ მას არ ექნება მოთხოვნის ან რაიმე სახის პრეტენზიის წარდგენის უფლება ბანკისთვის ამ უკანასკნელის მიერ კომპანიისთვის გაუფრთხილებლობით მიყენებულ ზიანთან, აგრეთვე არაპირდაპირი სახის ზიანთან დაკავშირებით, მათ შორის ისეთი სახის ზიანზე, როგორიცაა რეპუტაციული ზიანი, მიუღებელი სარგებელი და სხვა.

4.4. ბანკი პასუხს არ აგებს ანგარიშსწორების შეფერხებაზე იმ შემთხვევაში, თუ შეფერხება გამოწვეულია კომპანიის მიერ არასწორი საბანკო რეკვიზიტების მიწოდებით ან საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შესახებ ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდებით.

4.5. ბანკი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას კლიენტებისთვის ან მესამე პირებისთვის მიყენებულ იმ ზიანზე, რაც გამომდინარეობს კომპანიის და/ან მერჩანტის მიერ რაიმე გარიგებაში თავისი ვალდებულებების დარღვევით.

4.6. საქონლის/მომსახურების ხარისხზე, კლიენტებისთვის წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაციის შინაარსზე, აგრეთვე იმ ინფორმაციის შინაარსზე, რომელიც განთავსდება ინტერნეტ ქსელში საქონლის/მომსახურების რეალიზებასთან დაკავშირებით, სრულ პასუხისმგებლობას კისრულობს კომპანია/მერჩანტი, ამასთანავე კომპანია ვალდებულია ბანკისგან პირველივე მოთხოვნის მიღებისთანავე წაშალოს ნებისმიერი ინფორმაცია ბანკის შესახებ, რომელიც კომპანიის მიერ განთავსებულია ინტერნეტ ქსელში.

4.7. კომპანია კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების საფუძველზე დაქვითული/დასაქვითი თანხების ანაზღაურებაზე ან/და დაქვითვების განხორციელების შედეგად დამდგარ შესაძლო ზიანზე.

4.8. ბანკი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების საფუძველზე დაქვითული თანხების ანაზღაურებაზე.

4.9. ბანკი პასუხს არ აგებს კომპანიის მიერ ბანკისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის (ელ. ფოსტის, ინტერნეტ-ბანკის) საშუალებიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

4.10. ბანკი პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ განხორციელებული ქმედებ(ებ)ის (მათ შორის კომპანიის ვებგვერდის, აპლიკაციის ან მისი ნებისმიერი კომპონენტის მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ცვლილების, სანქცირებული / არასანქცირებული (მათ შორის თაღლითური) ან ნებისმიერი სხვა სახის წვდომის) შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე / ზარალზე.

4.11. კომპანია და მერჩანტი ბანკისგან დამოუკიდებლად განსაზღვრავენ მათ შორის სუბ-ექვაირინგთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს/დებულებებს/პასუხისმგებლობის ფარგლებს და ა.შ. შესაბამისად, ბანკი პასუხს არ აგებს ხსენებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ურთიერთობიდან გამომდინარე შედეგებზე/ზიანზე/ზარალზე.

5. ფორს-მაჟორი

5.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა პირდაპირ არის დაკავშირებული ფორს-მაჟორულ გარემოებებთან.

5.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

5.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი

შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან დამოუკიდებელი ალტერნატიული არხები.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორული გარემოება გრძელდება 1 (ერთი) თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, მხარისთვის შეტყობინებით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადები, მისი შეცვლისა და მოშლის პირობები

6.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

6.2. კომპანიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ან ყველა სახის მომსახურებით სარგებლობა მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით. ამ შემთხვევაში კომპანია ვალდებული იქნება მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა გადაუხადოს ბანკს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი.

6.3. ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, კომპანიისთვის შეწყვეტის შესახებ 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით. ხელშეკრულება ითვლება საბოლოოდ შეწყვეტილად მხარეთა შორის ყველა სახის ფინანსური და ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარების შემდეგ.

6.4. ბანკს უფლება აქვს ამ ხელშეკრულებაში აღწერილ მომსახურების პირობებში, მახასიათებლებში ან/და ხელშეკრულებით / ელექტრონული კომერციით მომსახურებასთან დაკავშირებული დანართ(ებ)ით / დისტანციური არხით (ინტერნეტ-ბანკით) შეტყობინების საფუძველზე კომპანიისთვის / მერჩანტ(ებ)ისთვის განსაზღვრულ საფასურში / ტარიფ(ებ)ში / გადასახდელებში შეიტანოს ცვლილებები/დამატებები, ამგვარი ცვლილებების/დამატებების განახორციელებამდე 1 (ერთი) თვით ადრე კომპანიისთვის დისტანციური არხით (ინტერნეტ-ბანკით) გაგზავნილი შეტყობინების გზით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია მის მიერ დადგენილ საფასურში / ტარიფებში / გადასახდელებში ცვლილებების/დამატებების განხორციელების შემთხვევაში, კომპანიას შესთავაზოს ან/და შეწყვიტოს ამ ხელშეკრულებით და/ან მისი დანართებით გათვალისწინებული რომელიმე ან რამდენიმე მომსახურების გაწევა. კომპანიას უფლება აქვს ბანკის მიერ კომპანიისთვის შეტყობინების გაგზავნიდან 1 (ერთი) თვის გასვლამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებაზე ბანკისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. ამ პუნქტით მინიჭებული უფლების განხორციელების (გამოყენების) შემთხვევაში, კომპანია ვალდებული იქნება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შეწყვეტის შესახებ წერილობითი შეტობინების ბანკისთვის გადაცემიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა გადაუხადოს ბანკს შესაბამის მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და სხვა სახის გადასახდელი. ხელშეკრულების მოქმდება გაგრძელდება ამ ხელშეკრულებით კომპანიის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ ისარგებლებს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის უფლებით, ბანკის მიერ შეთავაზებული ცვლილებები (დამატებები) ჩაითვლება კომპანიის მიერ მიღებულად, პირობები/ტარიფები/გადასახდელები კი შეცვლილად. ბანკს უფლება აქვს პირობების ცვლილება/დამატება, რომელიც არ აუარესებს კომპანიის მდგომარეობას, ძალაში შეიყვანოს ვებგვერდზე მისი განთავსებისთანავე/კომპანიისთვის შეტყობინების მიწოდებისთანავე.

6.5. ხელშეკრულების 2.2, 2.3 ან/და 2.4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებ(ებ)ით ბანკს შეუძლია ისარგებლოს ხელშეკრულების შეწყვეტიდან 180 (ას ოთხმოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.6. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან და/ან მისი დანართ(ებ)იდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება / შეთანხმება ხორციელდება წერილობით და/ან დისტანციური არხით (ინტერნეტ-ბანკით).

წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).

7. კონფიდენციალურობა

7.1. თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობიდან, ყოველი მხარე იღებს ვალდებულებას მეორე მხარის წერილობითი ნებართვის გარეშე არ გაუმხილოს მესამე პირ(ებ)ს რაიმე ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ხელშეკრულებას და წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. ეს ვალდებულება ძალაშია ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად ზიანი მიადგა მეორე მხარეს ან მესამე პირებს, ბრალეული მხარე ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

8. სანქცირებულ პირთა შესახებ დათქმა

8.1. სუბ-ექვაირერი აცხადებს და ადასტურებს, რომ:
8.1.1. სუბ-ექვაირერი და/ან მერჩანტ(ებ)ი, მათი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე სუბ-ექვაირერის/მერჩანტ(ებ)ის ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირ(ებ)ი (რაც ამ პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე მათ შორის წარმოადგენს ნებისმიერ პირს რომელსაც ბანკის შეფასებით, მათ შორის სანქციის მიზნიდან გამომდინარე, საქმიანი, ნათესაური თუ სხვა ტიპის მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე შესაძლოა გავლენა ჰქონდეს პირზე ან მის გადაწყვეტილებებზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობდეს ან/და აკონტროლებდეს მას) ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერი დროს:
8.1.1.1. არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და გაერთიანებული სამეფოს ან/და ამერიკის შეერთებული შტატების ან/და საქართველოს ან/და რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), ან/და მათ მიმართ არ მოქმედებს/იმოქმედებს სანქცია (ამ პუნქტის მიზნებისთის სანქცია მათ შორის მოიცავს უფლებამოსილი პირების მიერ განსაზღვრულ შეზღუდვას, პოლიტიკას, აკრძალვას, ან სხვა სახის მითითებას);
8.1.1.2. არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;
8.1.1.3. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობენ გარიგების დადებას) ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში/მასზე გავრცელებული იქნება სანქცია ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი ან/და საქმიანობს ტერიტორიაზე, რომელზეც ვრცელდება სრული სავაჭრო სანქციები/შეზღუდვები;
8.1.1.4. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდია/დადებს ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ხელს არ შეუწყობს გარიგების დადებას) ისეთ მხარესთან/ქონებასთან/აქტივთან/პროდუქციასთან/მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება სრული ან/და მიზნობრივი ან/და სექტორული სანქციები/შეზღუდვები.
8.1.1.5 იმ შემთხვევაში თუ 8.1 პუნქტის შესაბამისად სუბ-ექვაირერის მიერ გაკეთებული განცხადება აღმოჩნდება არასწორი და სუბ-ექვაირერის/მერჩანტ(ებ)ის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს სანქციის დარღვევას/გვერდის ავლას ან/და აღნიშნულის გამო ბანკის შეფასებით იარსებებს სუბ-ექვაირერზე/მერჩანტ(ებ)ზე ან/და მათთან აფილირებულ პირ(ებ)ზე სანქციის გავრცელების რისკი ან/და რომელიმე ზემოხსენებულ პირზე გავრცელებული იქნება სანქცია, ბანკს გარდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა ქმედებებისა, ასევე უფლება ექნება იმოქმედოს წინამდებარე ხელშეკრულების 8.1.1.1.

ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ დაწესებული სანქციის შესაბამისად და განახორციელოს უფლებამოსილი პირ(ებ)ის ან/და ორგანოს მიერ დაწესებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება, მათ შორის არ მისცეს სუბ-ექვაირერს/მერჩანტ(ებ)ს ნებისმიერი თანხის/აქტივ(ებ)ის განკარგვის ან/და მართვის შესაძლებლობა.

9. დავის გადაწყვეტა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილები არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეთა შორის დავის სასამართლოში განხილვის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიექცევა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1[1] ნაწილის შესაბამისად.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. მხარეები აღიარებენ, რომ კომპანიის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების ვადა, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულების 3.1 და 3.2 პუნქტებით, აითვლება ტრანზაქციების არქივში (ავტორიზაციების ისტორიის არქივი) ოპერაციების შესახებ ინფორმაციის შეტანის მომენტიდან. აღნიშნული ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ვადის დადგომის მტკიცებულებას წარმოადგენს ბაჩის მონაცემები.

10.2. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით ურთიერთშეთანხმებული პირობებით;

10.3. ხელშეკრულების ნებისმიერი დანართი და/ან ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება/დამატება წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.

10.4. ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა ან მოქმედების შეწყვეტა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკსა და სუბ-ექვაირერს შორის დადებული / სუბ-ექვაირერის მიერ დადასტურებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ მოქმედება.

10.6. ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, მხარეთათვის გადასაცემად.

ბანკი
სს „თიბისი ბანკი“
საიდენტიფიკაციო #----------
მისამართი: ----------
ელ, ფოსტა: ----------

კომპანია/სუბ-ექვაირერი

საიდენტიფიკაციო #----------
მისამართი: ----------
ტელ,: ----------
ელ, ფოსტა: ----------

დანართი #1

აღნიშნული დანართით განსაზღვრული წესების/პირობების დაცვა სავალდებულოა იმ კომპანი(ებ)ისთვის/მერჩანტებისთვის, რომელიც საგადახდო საშუალებად იყენებს ელექტრონულ კომერციას ან თიბისი ელ-კომერციის არხს:

1. ვებგვერდზე ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი კომპანიის სრული სახელწოდება და მისამართი.
2. ვებგვერდზე უნდა იყოს წარმოდგენილი კომპანიის ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელის საშუალებით მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება ნებისმიერი ინფორმაციის მიღება მიმდინარე გადახდებთან დაკავშირებით.
3. ვებგვერდზე უნდა წარმოდგენილ იქნეს შეთავაზებული საქონლის ან მომსახურების სრული აღწერა და მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი შეძენის პირობები და პროცედურები; საქონლის დაბრუნების ან შეკვეთის გაუქმების შემთხვევაში უფლებები ხარჯების ანაზღაურების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომხმარებელს მომსახურების/საქონლის შეძენამდე, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გაუგებრობები, პრეტენზიები, დავები.
4. სს „თიბისი ბანკის“, VISA და Mastercard-ის ლოგო (სავაჭრო ნიშანი) უნდა იყოს განთავსებული რეგისტრირებული ფორმით (უცვლელად), თვალსაჩინო ადგილზე.
5. იმის გათვალისწინებით, რომ კლიენტი შესაძლოა იყოს არარეზიდენტი პირი / უცხო ქვეყნის მოქალაქე, პროდუქტის/მომსახურების ღირებულება ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს ეკვივალენტით უცხოურ ვალუტაში.
6. უნდა მოხდეს დეტალური ინფორმაციის მიწოდება საქონლის მიწოდების სერვისთან დაკავშირებით (დავები, ღირებულება, გამონაკლისები და სხვ.).
7. პროდუქციის/მომსახურების მიწოდების შემდგომ, ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი გაწეული მომსახურებისა და მიმღები პიროვნების იდენტიფიცირებით, რომელიც დადასტურდება მხარეთა ხელმოწერით.
8. ვებგვერდზე წარმოდგენილი უნდა იყოს და მომსახურების/საქონლის შეძენამდე მომხმარებელი უნდა დაეთანხმოს:
   - კონფიდენციალურობის დაცვის პოლიტიკას;
   - გარიგების უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკას;
   - ანგარიშსწორების პოლიტიკას;
   - ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის პოლიტიკას;
9. ვებგვერდზე წარმოდგენილი უნდა იყოს დისკრიპტორი (კომპანიის სავაჭრო დასახელება) გადახდის დასრულებამდე, რომელიც დაფიქსირდება კლიენტის ამონაწერში.
10. ტრანზაქციის შესრულებისას ვებგვერდზე აუცილებელი წესით უნდა მოხდეს ბარათის მფლობელის მონაცემების (სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი…) მითითება და ხსენებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ბანკს მისი მოთხოვნისამებრ ტრანზაქციის განხორციელებიდან 6 თვის განმავლობაში.

დანართი #2

აღნიშნული დანართი არეგულირებს TPAY QR არხით გადახდებს, რომლის შესაბამისად მომსახურების/პროდუქტის მიღება შესაძლებელია, ფიზიკურად სავაჭრო ობიექტში.

TPAY QR გადახდების სერვისის პირობები მომსახურების / პროდუქტის ფიზიკურად მიმწოდებელი პირისთვის (კომპანიისთვის):

1. TPAY პორტალზე ადმინისტრატორის უფლებები და დაშვების პარამეტრები მიენიჭება კომპანიის დირექტორს და გაუქტიურდეს წვდომა კომპანიის მიერ ბანკისთვის მიწოდებულ აპლიკაციაში მითითებულ დირექტორის ტელეფონის ნომერზე;
2. კომპანიის ადმინისტრატორი მართავს TPAY პორტალში კომპანიის მართვის პანელში დაშვების უფლებების დონეებს;
3. გადახდების მიღებას უნდა ახორციელებდეს კომპანიის ადმინისტრატორი და/ან ადმინისტრატორის მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ი;
4. მობილური ტერმინალით (დაბეჭდილი და/ან მობილური აპლიკაცია) კომპანიის ადმინსტრატორმა და/ან ადმინისტრატორის მიერ მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)მა არ გადასცეს მობილური ტერმინალები და არ მისცეს მათი გამოყენების უფლება მესამე პირ(ებ)ს;
5. დაბეჭდილი მობილური ტერმინალით გადახდის მიღების შემთხვევაში, გადახდის სტატუსის მიღება/შემოწმება მოახდინოს კომპანიის ადმინისტრატორის მობილური ტელეფონის ნომერზე და/ან კომპანიის ადმინისტრატორის ავტორიზირებულ პირ(ებ)ის მობილური ტელეფონის ნომრებზე თიბისი ბანკისგან "TBCSMS" სათაურით მოსული სმს-ის საშუალებით და/ან TPAY პორტალის, TPAY აპლიკაციის მეშვეობით.

დანართი #3

აღნიშნული დანართი არეგულირებს ელექტრონული კომერციის დისტანციური თიბისი ელ-კომერციის არხით გადახდებს.

თიბისი ელ-კომერციის გადახდების სერვისის პირობები დისტანციური არხით მომსახურების / პროდუქტის მიმწოდებელი პირისთვის (კომპანიისთვის):

1. თიბისი ელ-კომერციის პორტალზე ადმინისტრატორის უფლებები და დაშვების პარამეტრები მიენიჭება კომპანიის დირექტორს და გაუაქტიურდება წვდომა ინტერნეტ-ბანკის მომხმარებელით;
2. ვებგვერდის თიბისი ელ-კომერციის სისტემასთან ინტეგრაციის პარამეტრები გამოუჩნდება კომპანიის ადმინისტრატორს და კომპანიის ადმინისტრატორის მიერ შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ მომხმარებლებს;
3. კომპანიის ადმინისტრატორი მართავს თიბისი ელ-კომერციის პორტალში კომპანიის მართვის პანელში დაშვების უფლებების დონეებს.

დანართი #4

პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკა

1. კომპანია აცხადებს და ადასტურებს, რომ:

1.1 შესაბამისი შეთანხმებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, მასზე გადაცემულ პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს მხოლოდ შეთანხმებით განსაზღვრული კონკრეტული მიზნის მისაღწევად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.2 პერსონალურ მონაცემთა არაავტორიზებული დამუშავების (მათ შორის, შემთხვევითი ან უნებართვო გავრცელება, წვდომა, შეცვლა ან/და განადგურება) აღსაკვეთად, რეგულარულად გაატარებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს პერსონალურ მონაცემთა ბუნებისა და პერსონალურ მონაცემთა სუბიექტებთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით;

1.3 იმუშავებს ბანკთან ერთად იმ მიზნით, რომ დაცული იყოს მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემები;

1.4 დააკვირდება და შეისწავლის ნებისმიერ იმ ქმედებას, რომელიც არღვევს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით, მათ შორის საერთაშორისო რეგულაციებით დადგენილ მოთხოვნებს და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკს;

1.5 მონაცემთა სუბიექტის მიერ, მონაცემთა წვდომის მოთხოვნასთან დაკავშირებით, იმუშავებს ბანკთან ერთად, საკითხის გადასაწყვეტად;

1.6 იმოქმედებს მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო (მათ შორის საერთაშორისო) რეგულაციების შესაბამისად, და უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტების უფლებების დაცვას;

1.7 მიაწოდებს ბანკს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დაცვისთვის დადგენილი რეგულატორული მოთხოვნების დასაცავად;

1.8 ნებას დართავს ბანკს ან მის მიერ უფლებამოსილ აუდიტორს ჩაატაროს აუდიტი ან/და ინსპექტირება, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესაბამისობის დადგენის მიზნით;

1.9 იმ შემთხვევაში, თუ მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებების რეალიზებას (გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა, განადგურება და სხვა) ან/და ინფორმაციას მონაცემთა დამუშავების თაობაზე, მათ შორის ინფორმაციას:

1.9.1 მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება;

1.9.2 მონაცემთა დამუშავების მიზანი;

1.9.3 მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;

1.9.4 რა გზით შეგროვდა მონაცემები;

1.9.5 ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი;

დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღეს, შეატყობინებს ბანკს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ელექტრონულ მისამართზე **privacycommitee@tbcbank.com.ge** აღნიშნულის თაობაზე და დაელოდება ბანკის მითითებას. ბანკის მიერ შესაბამისი მითითების გაცემის შემდგომ იმავე დღეს მიაწოდებს ინფორმაციას მონაცემთა სუბიექტს, მის მიერვე მოთხოვნილი ფორმით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბანკი არ ახდენს რეაგირებას კომპანიის შეტყობინებაზე, კომპანია ვალდებულია, გადასცეს მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნილი ინფორმაცია, აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიას.

1.10 შეინახავს ჩანაწერებს მის მიერ მონაცემებთან მიმართებით წარმართული პროცესების თაობაზე;

1.11 შეზღუდავს პერსონალურ მონაცემებთან წვდომის უფლების მქონე პირთა წრეს და ასეთ უფლებას მიანიჭებს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც წინასწარ აქვთ მიცემული შესაბამისი ინსტრუქციები

მონაცემთა დაცვასთან მიმართებით და რომლებიც უშუალოდ საჭიროებენ მონაცემებზე წვდომას, გააზრებული აქვთ მონაცემთა კონფიდენციალურობის/უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება და უზრუნველყოფენ მონაცემთა საიდუმლოების დაცვას, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში

1.12 პერსონალურ მონაცემებზე შემთხვევითი ან უნებართვო წვდომის, ასეთი მონაცემების განადგურების, დაკარგვის, შეცვლის ან გასაჯაროვების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს ასეთი შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღისა, შეატყობინებს ბანკს, შემთხვევის შესახებ ინციდენტის ბუნებისა და გამჟღავნებული/განადგურებული/შეცვლილი პერსონალური მონაცემების მითითებით. ასევე, ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში მიაწოდებს ინფორმაციას ბანკს მონაცემთა კატეგორიისა და ზუსტი ოდენობის თაობაზე და თუ რა ფორმით მოხდა პერსონალური მონაცემების დარღვევა. შეტყობინება დამატებით უნდა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო მონაცემს და ინფორმაციას იმ საშუალების თაობაზე, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია დამატებითი ცნობის მიღება;

1.13 ხელს შეუწყობს ბანკს, მონაცემთა დარღვევით გამოწვეული შედეგების განსაზღვრაში, შესაძლებლობისამებრ;

1.14 დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს ინციდენტზე დროული რეაგირებისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისთვის და გატარებული ზომების შესახებ აცნობებს ბანკს;

1.15 ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე, მესამე პირს არ გადასცემს ხელშეკრულების ფარგლებში ბანკისგან მიღებულ პერსონალურ მონაცემებს. ასეთი თანხმობის მოპოვების შემთხვევაში, მონაცემთა მიმღებ მესამე პირზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გავრცელდება წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნები;

1.16 არ დაამუშავებს პერსონალური მონაცემს, ბანკის მიერ გაცემული მითითებების საწინააღმდეგოდ, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ პერსონალური მონაცემის გადაცემა ხდება მესამე პირისთვის, სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის; დაუყოვნებლივ შეატყობინებს ბანკს, თუ ბანკის მიერ გაცემული მითითება არღვევს საკანონმდებლო რეგულაციებს ან მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით რომელიმე სახელმწიფოს ვალდებულებებს;

1.17 მხარეებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში მოთხოვნისთანავე გადასცემს ბანკს მის ხელთ არსებულ მონაცემებს;

1.18 ბანკის თანხმობის შემთხვევაში მიმართავს სპეციალურ ღონისძიებებს მონაცემთა ბუნებისა და იმ რისკების გათვალისწინებით, რომლებიც ამ ტიპის მონაცემის გადაცემას ახლავს თან, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემი შეიცავს ინფორმაციას პირის რასობრივი, ეთნიკური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულების, რელიგიური ან ფილოსოფიური მრწამსის ან კავშირის წევრობის, გენეტიკური, ბიომეტრიული ან მისი მაიდენტიფიცირებელი უნიკალური ნიშნების თაობაზე. აღნიშნული მუხლით განსაზღვრული ვალდებულება ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მონაცემი შეიცავს ინფორმაციას პირის ჯანმრთელობის, მისი სექსუალური ცხოვრების, სექსუალური ორიენტაციის ან კრიმინალური წარსულის შესახებ;

1.19 არ გადასცემს პერსონალურ მონაცემებს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ხოლო იმ შემთხვევაში თუ კომპანიის საქმიანობა მოითხოვს პერსონალური მონაცემების საქართველოს ფარგლებს გარეთ გადაცემას, დაუყოვნებლივ შეატყობინებს ამის თაობაზე ბანკს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ელექტრონულ მისამართზე privacycommitee@tbcbank.com.ge **და** აღნიშნულის თაობაზე დაელოდება ბანკის მითითებას.ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში მესამე პირისთვის მონაცემთა გადაცემა დასაშვებია, მხოლოდ იმ რწმუნებით, რომ მონაცემი გადაიცემა ისეთ ქვეყნებში, რომელიც საქართველოს

კანონმდებლობით და GDPR რეგულაციების მოთხოვნის შესაბამისად, წარმოადგენს ე.წ. თეთრი სიის (Whitelist) ქვეყანას.

1.20 ბანკის თანხმობის გარეშე თავად არ გადასცემს ან/და არ მისცემს სხვა პირს თანხმობას, მასზედ, რომ მონაცემების გადაცემა მოხდეს ევროპის კავშირის არაწევრი სახელმწიფოს მიმართულებით ან ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ. ხოლო ასეთი თანხმობის არსებობის შემთხვევაში დაეყრდნობა ევროპის კავშირის ძირითად რეგულაციებს, რომელიც პერსონალურ მონაცემთა გადაცემის საკითხს არეგულირებს და მიიღებს განსაკუთრებულ ზომებს პერსონალურ მონაცემთა დასაცავად;

1.21 მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში და ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში ჩართავს ქვე-კონტრაქტორებს, რომლებსაც სათანადოდ ექნებათ დანერგილი შესაბამისი უსაფრთოხების მექანიზმები დაომლებზეც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გავრცელდება წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული პირობები. მონაცემთა დამუშავების პროცესში ქვე-კონტრაქტორის ჩართვა არ ათავისუფლებს მას ნაკისრი ვალდებულებებისაგან და არ ზღუდავს კომპანიის პასუხისმგებლობის ფარგლებს ასეთი ვალდებულებების დარღვევისას დამდგარ ზიანთან მიმართებაში, ბანკის წინაშე;

1.22 პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში ქვე-კონტრაქტორების ჩართვის შემთხვევაში, ბანკს შეატყობინებს ხელშეკრულების ხელმოწერის დროისთვის დაქირავებული ქვე-კონტრაქტორების ვინაობას და მათთან დაკავშირებულ ცვლილებას განახორციელებს მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით. ბანკი უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს ხელშემკვრელი მხარის მიერ წამოყენებული ქვე-კონტრაქტორის კანდიდატურას. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ბანკი უფლებამოსილია ყოველგვარი ზიანის ანაზღაურების გარეშე ვადამდე შეწყვიტოს მხარესთან დადებული შეთანხმების მოქმედება;

1.23 მის მიერ საქმიანობის შეწყვეტის ან/და ბანკის მიერ შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუბრუნებს ბანკს და აღდგენის შესაძლებლობის გარეშე წაშლის/გაანადგურებს მისთვის გადაცემულს პერსონალურს მონაცემებს და მათ ასლებს. ბანკი უფლებამოსილია, მხარეს მოსთხოვოს მონაცემთა წაშლის დადასტურება. წინამდებარე მუხლი არ ვრცელდება ისეთ ინფორმაციაზე, რომლის შენახვის ვალდებულებას მხარეს მოქმედი კანონმდებლობა ანიჭებს.

1.24 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ძალაში რჩება მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შემდეგ იმ ვადით, რა ვადითაც მხარე ინარჩუნებს წვდომას ხელშემკვრელი მხარის მიერ მისთვის გადაცემულ პერსონალურ მონაცემებზე. წინამდებარე დათქმა არ უნდა იქნას მიჩნეული კომპანიის უფლებად, შეინარჩუნოს წვდომა ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ პერსონალურ მონაცემებზე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ. კომპანია ვალდებულია, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა დააბრუნოს და აღდგენის შესაძლებლობის გარეშე წაშალოს/გაანადგუროს მისთვის ბანკის მიერ გადაცემული პერსონალური მონაცემები და მათი ასლები;

1.25 იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი სამართალით აკრძალული ექნება მონაცემის წაშლის ან დაბრუნების უფლება, კომპანია ფლობას განაგრძობს წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც მოთხოვნილი იქნება ადგილობრივი კანონმდებლობის საფუძველზე;

2. ბანკი უფლებამოსილია, გონივრული ეჭვის არსებობისას, შეამოწმოს კომპანიისთვის ბანკის მიერ გადაცემული პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში გამოყენებული საშუალებებისა და სისტემების გამართულობა; ასევე, მათი ტექნიკური და ორგანიზაციული მახასიათებლების შესაბამისობა წინამდებარე პოლიტიკით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებთან;

3. ზემოაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, კომპანიას მოსთხოვოს შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ბანკისთვის წარდგენა.
4. ბანკი იხსნის პასუხისმგებლობას ნებისმიერ ზიანსა და ხარჯზე, რომელიც გამოწვეულია ხელშემკვრელი მხარის მიერ წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული რომელიმე ვალდებულების განზრახი ან გაუფრთხილებელი დარღვევით;
5. კომპანია ვალდებულია, სრულად დაიცვას **ინფორმაციული სისტემების ინფრასტრუქტურის** წინამდებარე მოთხოვნები და იმ გარემოში, რომელშიც დროებით ან მუდმივად ხვდება ბანკის მიერ კომპანიისთვის მიწოდებული პერსონალური მონაცემები, უზრუნველყოფილი იყოს შემდეგი:

5.1 პერსონალური მონაცემების შესანახად და დასამუშავებლად უნდა არსებობდეს იზოლირებული გარემო, რომელიც ძირითადი ინფრასტრუქტურისგან იქნება გამოყოფილი დამოუკიდებელი Firewall-ით და გარემოს Firewall-ზე წვდომების დაშვება, უნდა კონტროლდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ; იზოლირებულ გარემოში მოთავსებულ ინფორმაციასთან წვდომა უნდა ხორციელდებოდეს ს.წ. ტერმინალ სერვერების (Jump Server) საშუალებით;

5.2 უნდა კონტოლდებოდეს და ხორციელდებოდეს გარემოს მთლიანობის/წვდომადობის მონიტორინგი;

5.3 გარემოში მოთავსებული სერვერებზე უნდა ხორციელდებოდეს განახლებების მონიტორინგი;

5.4 სადაც შესაძლებელია პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს დაშიფრული სახით ძლიერი შიფრაციის ალგორითმების გამოყენებით;

5.5 იზოლირებულ გარემოსთან წვდომა უნდა ხორციელდებოდეს დაცული მეთოდით, დაშიფრული კომუნიკაციით და უსაფრთხო პროტოკოლის გამოყენებით;

5.6 იზოლირებული გარემოსთვის უნდა არსებობდეს პაროლების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს პაროლის სირთულეს, ცვლილების დროს და ისტორიას;

5.7 იზოლირებულ გარემოს სერვერებზე ადმინ მომხმარებლების პაროლები უნდა იყოს დანაწევრებული მინიმუმ ორ ნაწილად და უნდა ინახებოდეს სხვადასხვა მფლობელთან, უსაფრთხო მეთოდის გამოყენებით;

5.8 იზოლირებულ გარემოს სერვერებზე ადმინ მომხმარებლების პაროლები უნდა იმართებოდეს privileged access management system (PAM) - ით;

5.9 გარემოზე წვდომის დაშვებისას უნდა ხორციელდებოდეს მომხმარებლის ორ ნაბიჯიანი ავთენტიფიკაცია (ე.წ. Two Step Authentication);

5.10 იზოლირებული გარემო არ უნდა იყოს ინტერნეტიდან წვდომადი, იზოლირებულ გარემოს სერვერებზე უნდა ხორციელდებოდეს ლოგირება, ლოგი უნდა ინახებოდეს ცენტრალიზებულად და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი გამოყენება ინციდენტის ან ხარვეზის გამოკვლევის პროცესში;

5.11 პერსონალური მონაცემების შესანახად დასამუშავებლად ან გადასაცემად არ უნდა გამოიყენებოდეს ღრუბლოვანი გარემო (Remote storage, Cloud Service);

5.12 დეველოპმენტის ან ტესტირების ფარგლებში პერსონალური მონაცემების გამოყენებისას, უნდა ხდებოდეს ინფორმაციის ცვლილება ისეთი სახით, რომ ვერ ხდებოდეს პიროვნების პირდაპირი ან ირიბი იდენტიფიცირება;

5.13 ხანდაზმულობით ან სპეციალური მოთხოვნით ინფორმაციის განადგურებისას გამოყენებულ უნდა იქნას შრედერი ან ცეცხლი. განადგურების პროცესს უნდა ესწრებოდეს წინასწარ განსაზღვრული ბანკის წარმომადგენელი.

დანართი #5

წინამდებარე დანართით რეგულირდება კომპანიასა და ბანკს შორის ურთიერთობა კომპანიის მიერ სფლითის ფუნქციონალით სარგებლობისას, რაც გულისხმობს მომხმარებლ(ებ)ის მიერ საქონლის/მომსახურების ელექტრონული კომერციის არხით შეძენისას განხორციელებული ტრანზაქციის თანხის კომპანიის მიერ განსაზღვრული თანაფარდობით გაყოფას და ბანკის მიერ ჩარიცხვას კომპანიისა და ბანკის კლიენტ(ებ)ის (პირ(ებ)ი (მეწარმე / გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი და/ან იურიდიული პირი / ორგანიზაციული წარმონაქმნი), რომელიც ფლობს ბანკში ანგარიშს და რომელთანაც კომპანია თანამშრომლობს მომხმარებლისთვის საქონლის/მომსახურების მიწოდების პროცესში) (შემდგომში „კომპანიის პარტნიორი“) ანგარიშ(ებ)ზე.

1. სფლითის ფუნქციონალით სარგებლობის ზოგადი პროცესი წარიმართება შემდეგი სქემის შესაბამისად:

1.1. კომპანიის შესაბამისი განაცხადის / მოთხოვნის საფუძველზე, ბანკი კომპანიას გაუაქტიურებს სფლითის ფუნქციონალს. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, კომპანიისთვის სფლითის ფუნქციონალის გააქტიურების გადაწყვეტილების მისაღებად, კომპანიას მოსთხოვოს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციისა და/ან დოკუმენტაციის წარდგენა. ბანკი განიხილავს კომპანიის განაცხადს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაიწყებს კომპანიისთვის სფლითის ფუნქციონალით მომსახურების გაწევას, კერძოდ:

1.1.1. მომხმარებლის მიერ ელექტრონული კომერციის არხით საქონლის ღირებულების / მომსახურების საფასურის გადახდის ტრანზაქციის განხორციელებისას, კომპანია ბანკს გაუზიარებს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რა თანაფარდობით უნდა მოხდეს ტრანზაქციის თანხის (საქონლის ღირებულების / მომსახურების საფასურის) გაყოფა კომპანიასა და კომპანიის პარტნიორს შორის და ბანკს მიაწვდის კომპანიის პარტნიორის იმ ანგარიშის ნომერს, რომელზეც ბანკი განახორციელებს ტრანზაქციის თანხის ნაწილის ჩარიცხვას. ხსენებული ინფორმაციის საფუძველზე, ბანკი მოახდენს ტრანზაქციის თანხის (ბანკსა და კომპანიას შორის შეთანხმებული/დადგენილის ტარიფის შესაბამისად, ბანკის საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით) ასახვას/ჩარიცხვას კომპანიისა და კომპანიის პარტნიორის ანგარიშ(ებ)ზე, კომპანიის მიერ განსაზღვრული თანაფარდობით, ამასთან, კომპანიის და კომპანიის პარტნიორის ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხული ტრანზაქციის თანხა ჯამურად (ბანკის საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით) უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლის ღირებულებას / მომსახურების საფასურს.

1.2. კომპანია ვალდებულია:

1.2.1. გააკონტროლოს კომპანიის პარტნიორ(ებ)ი, რათა მან არ განახორციელოს იმგვარი საქმიანობა (მათ შორის ისეთი საქონლის/მომსახურების რეალიზაცია), რაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით / ბანკის პოლიტიკით (ბანკის მიერ ნებისმიერი ამგვარი დარღვევის გამოვლენისთვის, კომპანიას დაეკისრება სრული პასუხისმგებლობა (ზიანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურების ჩათვლით));

1.2.2. ფლობდეს (და საჭიროების შემთხვევაში მიაწოდოს ბანკს მოთხოვნისთანავე) ინფორმაციას კომპანიის პარტნიორ(ებ)ის შესახებ (საქმიანობის სახე, ბიზნეს მოდელი, სტატუსი, საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილება და/ან სხვა ინფორმაცია);

1.2.3. დაუყოვნებლივ მიაწოდოს ბანკს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ კომპანია ცვლის / ამატებს კომპანიის პარტნიორ(ებ)ს და/ან კომპანიის პარტნიორ(ებ)ის საქმიანობის სახე განსხვავდება სფლითის ფუნქციონალის გააქტიურებისას განსაზღვრული საქმიანობისგან; ამგვარ შემთხვევებში, მხოლოდ ბანკისგან დადებითი პასუხის მიღებისას იქნება შესაძლებელი, პირი მიჩნეული იქნეს კომპანიის პარტნიორად სფლითის ფუნქციონალით სარგებლობის მიზნებისთვის;

1.2.4. იკისროს პასუხისმგებლობა ყველა იმ ინფორმაციის (მათ შორის კომპანიის პარტნიორ(ებ)ის ანგარიშის ნომრ(ებ)ის, კომპანიის პარტნიორ(ებ)თან ჩასარიცხი თანხ(ებ)ის ოდენობის. კომპანიის პარტნიორ(ებ)ის ცვლილების/დამატების შესახებ ინფორმაციის და სხვა) სისწორეზე და ბანკისთვის ოპერატიულად გაზიარებაზე, რომელსაც გადასცემს ბანკს სფლითის ფუნქციონალით სარგებლობის ფარგლებში;

1.2.5. მომხმარებლის მიერ ტრანზაქციის გასაჩივრების შემთხვევაში, აანაზღაუროს გასაჩივრებული თანხა სრულად (და არა მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მას ჩაერიცხა სფლითის ფუნქციონალით სარგებლობის ფარგლებში); ამასთან, კომპანია ვალდებულია გასაჩივრებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია (ინვოის(ებ)ი, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, რეალიზებულ საქონელთან / გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტ(ებ)ი, პროგრამული ჩანაწერები და სხვა) შეინახოს 180 (ას ოთხმოცი) დღის განმავლობაში და მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს მის მიერ დადგენილი ფორმით/წესით/ვადაში (ამასთან, ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტის/ანგარიშგების კომპანიის მიერ ბანკისთვის მის მიერ დადგენილი ფორმით/წესით/ვადაში მიწოდების ვალდებულება ვრცელდება სფლითის ფუქნციონალით სარგებლობის ფარგლებში განხორციელებულ ნებისმიერ ტრანზაქციაზე).

2. სფლითის ფუნქციონალით სარგებლობის დეტალური აღწერა / წესები / პირობები განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: https://tbcpayments.ge/details/ecom/tbc.
3. ბანკი აცხადებს და კომპანია უპირობოდ ადასტურებს, რომ ბანკს არ ეკისრება (სრულად იხსნის პასუხისმგებლობას) კომპანიის მიერ სფლითის ფუნქციონალით სარგებლობის ფარგლებში, კომპანიისთვის და კომპანიის პარტნიორ(ებ)ისთვის ჩარიცხული ტრანზაქციის თანხ(ებ)ის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად დაბეგვრის (ასეთი აუცილებლობის შემთხვევაში) გაკონტროლების ვალდებულება. ამასთან, კომპანია ვალდებულია არ განახორციელოს იმგვარი ქმედებები, რაც დაკავშირებული იქნება საგადასახადო თაღლითობასთან / გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობასთან (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.
4. კომპანიას უფლება აქვს მოითხოვოს სფლითის ფუნქციონალის გათიშვა, გათიშვის თაობაზე ბანკისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით (ბანკსა და კომპანიას შორის დადებული / კომპანიის მიერ დადასტურებული (მათ შორის ელექტრონული ფორმით) ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით შეტყობინებისთვის განსაზღვრული ნებისმიერი ფორმით). ამგვარი შეტყობინების მიღების დღიდან ბანკი უზრუნველყოფს სფლითის ფუნქციონალის გათიშვას.
5. წინამდებარე დანართი წარმოადგენს ბანკსა და კომპანიას შორის დადებული / კომპანიის მიერ დადასტურებული (მათ შორის ელექტრონული ფორმით) ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების არსებით შემადგენელ ნაწილს და მასზე ვრცელდება ხსენებული ხელშეკრულების ყველა პირობა / მუხლი / პუნქტი / დებულება.

დანართი #6

მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის,
გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკა

1 მხარეები აცხადებენ და ადასტურებენ რომ:

1.1. თითოეული მათგანი ასევე, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიები და მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითხებს უწევენ მუდმივ კონტროლს;

1.2. მხარეები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტის წევრები, უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, თანამშრომლები, სხვა პერსონალი არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს

1.2.1. საჩუქრის, მასპინძლობის, ჯილდოების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას, მიღებას, მიწოდებას, გაცემას ან მოთხოვნას, პირდაპირ ან ირიბად, რათა შეიქმნას ნებისმიერი ტიპის კომერციული, სახელშეკრულებო, რეგულატორული ან პირადი უპირატესობა ან/და წახალისდეს ან დაჯილდოვდეს ქმედება, რომელიც არის არაკანონიერი და არაეთიკური;

1.2.2. კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.

1.3. არცერთ მხარეს ან მათთან დაკავშირებულ პირს

1.3.1. ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან ირიბად არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი ან/და ანაზღაურება;

1.3.2. შეთანხმების / ხელშეკრულების დასადებად არ განუხორციელებია ისეთი ქმედება, რომლის მიზანია, მათ შორის, ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა ან/და ერთ-ერთი მხარის უმაღლესი მენეჯმენტის წევრის უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი დაკავშირებული საწარმოს ქმედებებზე ზეგავლენა, რომელიმე ზემოაღნიშნული პირის მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ ან/და ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან/და სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

1.4. არცერთი მხარე არ წარმოადგენს საჯარო პირს და არ მოქმედებს საჯარო პირის სახელით. ამასთან, თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს წინამდებარე დათქმის ცვლილების შესახებ;

1.5. არცერთი მათგანი ან/და მათთან დაკავშირებული პირები, რომლებსაც მხარეები იყენებენ სახელშეკრულებო ურთიერთობისას, არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებულნი კორუფციის, მექრთამეობის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისთვის ან აღნიშნულის ხელშეწყობისთვის;

2 მხარეები აცნობიერებენ, რომ ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შეწყვეტა. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს დამრღვევი მხარის ან/და მისი უმაღლესი მენეჯმენტის წევრის, უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის

პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. მხარეები ადასტურებენ, რომ მხარის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს უმაღლესი მენეჯმენტის უფლებამოსილი პირის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული საწარმოს ქმედება, თუკი ეს პირი არ მოქმედებდა მხარის სახელითა და დავალებით.

3 აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

4 ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ზემოაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, ხელშემკვრელ მხარეს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება.

დანართი #7

ტრანზაქციის ტარიფები / საკომისიოები

სუბ-ექვაირერის თითოეული მერჩანტისთვის ბანკი ტრანზაქციის ტარიფებს/საკომისიოებს განსაზღვრავს შემდეგი ოდენობით:

- ----------
- ----------
- ----------

დანართი #8

წინამდებარე დანართით რეგულირდება კომპანი(ებ)ის მიერ VISA-ს გადახდების სერვისის მიმწოდებელ პლატფორმასთან (CyberSource-სთან) პირდაპირი ინტეგრაციით ონლაინ გადახდების მიღება:

• CyberSource წარმოადგენს გადახდების პლატფორმას, რომელიც განახორციელებს ონლაინ გადახდების სხვადასხვა მეთოდებითა და არხებით დამუშავებას და უწევს დახმარებას ბანკს საბარათე გადახდებით ანგარიშსწორებისას.

• კომპანიას CyberSource-ით სარგებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს მიიღოს გადახდები ონლაინ, VISA-ს CyberSource პლატფორმასთან კომპანიის პირდაპირი ინტეგრაციით (კომპანიას პლატფორმაზე ექნება საკუთარი სივრცე, სადაც ონლაინ რეჟიმში თავად შეძლებს გადახდების და ტრანზაქციების მართვას).

• კომპანია, რომელსაც სურს ონლაინ გადახდების მიღებისთვის VISA-ს CyberSource პლატფორმით სარგებლობა, მისი მოთხოვნის საფუძველზე, ბანკის მეშვეობით ინტეგრირდება CyberSource პლატფორმასთან, რის შემდგომ, ბანკი უზრუნველყოფს ტრანზაქციების დამუშავებას / ანგარიშსწორებას. აღნიშნული განხორციელდება შემდეგნაირად: API (ციფრული პლატფორმების ერთმანეთთან დამაკავშირებელი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ორ პლატფორმას შორის ინფორმაციის გადაცემას და წარმოადგენს შუამავალს კომპანიასა და მომხმარებელს შორის. ამავე სისტემის საშუალებით ხდება კომპანიების დაკავშირება / ინფორმაციის მიმოცვლა) ინტეგრაციის საფუძველზე კომპანია პირდაპირ უკავშირდება VISA-ს CyberSource პლატფორმას, სრულდება გადახდები სტანდარტულად (მომხმარებლის გადახდის გვერდზე გადამისამართებით), VISA-ს მიერ ხორციელდება ტრანზაქციის გაგზავნა საპროცესინგო ცენტრისთვის („UFC“), ხოლო საპროცესინგო ცენტრის მიერ - ბანკისთვის.

• CyberSource პლატფორმის მეშვეობით, კომპანიას შეუძლია ისარგებლოს ელექტრონული კომერციის მზა ვებგვერდების სისტემით, გადახდების მენიუში „CyberSource-ით ბანკში ტრანზაქციების დამუშავების“ შერჩევით. ასეთ შემთხვევაში, კომპანია რეგისტრირდება ბანკში (ბანკის მიერ დადგენილი წესით ხორციელდება კომპანიის რეგისტრაცია ელექტრონული კომერციით მოსარგებლე კომპანიების ბაზაში), შემდგომ კი ბანკი კომპანიას არეგისტრირებს CyberSource პლატფორმაზე, რის შესაბამისად, კომპანიას ეძლევა გადახდების მიღების შესაძლებლობა.

• კომპანია აცხადებს თანხმობას, რომ ბანკის მიერ კომპანიის CyberSource პლატფორმაზე რეგისტრაციისას, ბანკი მოახდენს კომპანიის შესახებ ინფორმაციის (საფირმო სახელწოდება, მისამართი, საკონტაქტო მონაცემები; უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის და/ან თანამშრომლ(ებ)ის და/ან საკონტაქტო პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები): სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილურის ნომერი) CyberSource პლატფორმისთვის გადაცემას. კომპანია ადასტურებს, რომ მისი თანამშრომლისგან და/ან მისი წარმომადგენლისგან და/ან საკონტაქტო პირისაგან უნდა მიიღოს თანხმობა ამ პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დამუშავებაზე და ხსენებული თანხმობა კომპანიამ უნდა მოიპოვოს მონაცემების ბანკისთვის გადაცემამდე. ამასთან, კომპანია ვალდებულია ბანკს, მისი მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნის წარდგენიდან მე-2 სამუშაო დღისა, წარუდგინოს მისი თანამშრომლის და/ან წარმომადგენლის და/ან საკონტაქტო პირის მიერ დადასტურებული თანხმობის ფორმა მონაცემთა დამუშავებაზე.

• იმისათვის, რომ კომპანიამ მის ვებგვერდზე შეძლოს ტრანზაქციების გატარება, ბანკი ახდენს კომპანიისთვის შესაბამისი იდენტიფიკატორის (მერჩანტ ID-ის) მინიჭებას და იდენტიფიკატორზე გადახდების კონფიგურაციას, რის შემდგომაც ბანკი იღებს KEY-სა (ტექნიკური ინტეგრაციისას, გადახდების შესასრულებლად და უსაფრთხო დაშიფვრასთან დაკავშირებული პარამეტრი) და 3D უსაფრთხოებისთვის (მომხმარებლის მიერ პლასტიკური TBC Bank E-Commerce ბარათით შესყიდვის პროცესის უსაფრთხოდ განხორციელების / სავალდებულო დაცვის საშუალება) საჭირო პარამეტრებს, რომელთაც გაუზიარებს კომპანიას.

• CyberSource პლატფორმაში, კომპანიისთვის იქმნება მომხმარებელი („User”), რომლის მეშვეობით კომპანიას შესაძლებლობა აქვს გაიაროს ავტორიზაცია პლატფორმაზე და მართოს (დაადასტუროს/გააუქმოს/დააექსპორტოს და ა.შ.) შესაბამისი ტრანზაქციები.

• CyberSource პლატფორმით გადახდებით სრულფასოვნად სარგებლობისთვის, კომპანიას შეუძლია თავად განახორციელოს CyberSource-თან ინტეგრირებული მზა ვებგვერდების პლატფორმების მეშვეობით

გადახდების მიღება. აღნიშნულის განსახორციელებლად, კომპანია ავტორიზდება მზა ვებგვერდ(ებ)ის პლატფორმაზე, გადახდების ველში უთითებს CyberSource-ს და შეჰყავს ბანკის მიერ მიწოდებული პარამეტრები (KEY/3D).

• CyberSource პლატფორმის მეშვეობით, ბანკისთვის შესაძლებელი ხდება კომპანიის გადახდების მენეჯმენტი (ტრანზაქციის ხედვა / მართვა / რეპორტინგი და ა.შ.).

• კომპანია აცნობიერებს და ადასტურებს, რომ თუ კომპანია CyberSource პლატფორმასთან პირდაპირ ინტეგრაციას ახორციელებს საერთაშორისო საგადახდო სისტემის - VISA-ს მეშვეობით/შუამდგომლობით, VISA-ს მიერ CyberSource პლატფორმით სარგებლობის შესაძლებლობის შეჩერების და/ან შეწყვეტის შემთხვევაში (მიუხედავად მიზეზისა და/ან საფუძვლისა), ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი ამგვარ შეჩერებასთან/შეწყვეტასთან დაკავშირებულ შედეგებზე. ამავდროულად, იმ შემთხვევაში, თუ ბანკისთვის წინასწარ გახდება ცნობილი ამ დანართით განსაზღვრული მომსახურების VISA-ს მიერ შეჩერების და/ან შეწყვეტის შესახებ, ბანკი აღნიშნულთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ მოახდენს კომპანიის ინფორმირებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, კომპანიისთვის ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების და/ან ხელშეკრულებით და/ან ხელშეკრულების ნებისმიერი დანართით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის და/ან კომპანიისთვის ფინანსური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეუზღუდოს/შეუწყვიტოს CyberSource პლატფორმით სარგებლობის შესაძლებლობა და მსგავს შემთხვევაში, ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი შეჩერების და/ან შეწყვეტის შედეგად კომპანიის მხარეს წარმოშობილ შედეგ(ებ)ზე/ზიანზე/ზარალზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

• წინამდებარე დანართით განსაზღვრული მომსახურების დეტალური აღწერა / წესები / პირობები განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/cybersource

<u>დანართი #9</u>

აღნიშნული დანართით განსაზღვრული წესების/პირობების დაცვა სავალდებულოა კომპანიებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ ელ-კომერციის ონლაინ პლატფორმას, ნივთის რეალიზაციის / მომსახურების გაწევის მიზნით, ერთ ონლაინ სივრცეში ნივთის რეალიზატორის / მომსახურების გამწევის და მომხმარებლის დასაკავშირებლად (შემდგომში „მარკეტ ფლეისი“).

<u>კომპანია ვალდებულია:</u>

1. შეიმუშავოს პოლიტიკები და პროცედურები, დაკავშირებული (i) ნივთის რეალიზატორის / მომსახურების გამწევის (ასევე მისი ბენეფიციარი მესაკუთრ(ეებ)ის) და მომხმარებლის იდენტიფიკაციასთან / შემდგომი ანალიზისთვის /მოკვლევისთვის განკუთვნილი ინფორმაციის შეგროვებასთან; (ii) მის მიერ „(i)“ პუნქტის შესაბამისად მიღებული/მოძიებული ინფორმაციის სიზუსტისა და უტყუარობის გადამოწმებასთან. ხსენებული პოლიტიკები და პროცედურები სრულად შესაბამისობაში უნდა იყოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ / საერთაშორისო სანქციების გატარებისა და სანქცირებულ პირთა მონიტორინგის თაობაზე ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს (დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო) და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.
2. მისი პლატფორმის მეშვეობით ნივთის რეალიზაციამდე / მომსახურების გაწევამდე ნივთის რეალიზატორთან / მომსახურების გამწევთან გააფორმოს შესაბამისი გარიგება, რომლის თანახმად, ნივთის რეალიზატორი / მომსახურების გამწევი ვალდებულია მომხმარებელთან არ დადოს ისეთი გარიგება, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს თაღლითურ და/ან არაავტორიზებულ ტრანზაქციასთან და რომ ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას გაფრთხილების გარეშე.
3. უზრუნველყოს, რომ POI (POI= Point of Interaction - ბარათის მფლობელის მიერ ფინანსური ტრანზაქციის განსახორციელებლად გამოყენებული სისტემა / მოწყობილობა) მონაცემებში აღრიცხული ნივთის რეალიზატორის / მომსახურების გამწევის სახელწოდება არ გამოიყენოს სხვა იურიდიულმა პირმა, რათა აღიკვეთოს სავაჭრო ნიშნის/ სახელწოდების უკანონო გამოყენება, მათ შორის, სახელწოდების უკანონო გამოყენება არაკეთილსინდისიერი პირების მიერ. კონტროლის მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს ნივთის რეალიზატორის / მომსახურების გამწევის სახელწოდებების მონიტორინგს სპეციალური სიების მეშვეობით (ასეთების არსებობის შემთხვევაში);
4. ნივთის რეალიზატორის / მომსახურების გამწევის ბიზნეს საქმიანობის გათვალისწინებით, განსაზღვროს თაღლითობით/არამართლზომიერი ქმედების (მათ შორის, ყალბი ნივთით ვაჭრობის / ინტელექტუალური უფლებების დარღვევის) შედეგად გამოწვეული ზარალის შეფასების მექანიზმი.
5. გადაამოწმოს და აკონტროლოს POI (POI= Point of Interaction - ბარათის მფლობელის მიერ ფინანსური ტრანზაქციის განსახორციელებლად გამოყენებული სისტემა / მოწყობილობა) მონაცემები და ნივთის რეალიზატორის / მომსახურების გამწევის ბიზნეს საქმიანობა, იმის დასტურად, რომ ნივთის რეალიზაციასთან / მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ტრანზაქცია ხორციელდება ნივთის რეალიზატორის/მომსახურების გამწევის / მომხმარებლის / კომპანიის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის, ეთიკის პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით.
6. გააცნობიეროს ყველა ქმედებასთან, გადაცდომასთან, მომხმარებლის მომსახურებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა / ვალდებულება, მათ შორის განხორციელებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით მომხმარებლის მხრიდან წარმოებულ დავებში / საჩივრებში / პრეტენზიებში.
7. დაუყოვნებლივ და/ან ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში/ფორმით მიაწოდოს ბანკს ტრანზაქციასთან / ნივთის რეალიზატორთან/მომსახურების გამწევთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და/ან დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის/დოკუმენტაციის ბანკისათვის წარუდგენლობის / დროულად მიუწოდებლობის მიზეზით ბანკს მიადგება ნებისმიერი სახის ზიანი, კომპანია ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს ბანკს ხსენებული.

8. გააკონტროლოს ნივთის რეალიზატორ(ებ)ი / მომსახურების გამწევ(ებ)ი, რათა არ განახორციელონ იმგვარი საქმიანობა (მათ შორის მისი პლათფორმის მეშვეობით არ განახორციელონ ისეთი საქონლის/მომსახურების რეალიზაცია), რაც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით / ბანკის პოლიტიკით / საერთაშორისო საგადახდო სისტემის (VISA International-ის და Mastercard Worldwide-ის) წესებით / პოლიტიკით / რეგულაცი(ებ)ით. ბანკის მიერ ნებისმიერი ამგვარი დარღვევის გამოვლენისთვის, კომპანიას დაეკისრება სრული პასუხისმგებლობა (ზიანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურების ჩათვლით). ამავდროულად, საქონლის/მომსახურების ხარისხზე, მომხმარებლებისთვის მიწოდებულ ნებისმიერი ინფორმაციაზე, აგრეთვე იმ ინფორმაციის შინაარსზე, რომელიც განთავსდება კომპანიის პლათფორმაზე საქონლის/მომსახურების რეალიზებასთან დაკავშირებით, სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიას.
9. მომხმარებლის მიერ ტრანზაქციის გასაჩივრების შემთხვევაში, სრულად აუნაზღაუროს მომხმარებელს გასაჩივრებული თანხა (მომხმარებლის მიერ კომპანიის პლათფორმაზე (პლათფორმის მეშვეობით) შეძენილ ნივთთან / მიღებული მომსახურების ხარისხთან დაკავშირებულ მომხმარებლის ნებისმიერ პრეტენზიაზე / საჩივარზე, სრულად პასუხისმგებელია კომპანია). ამასთან, კომპანია ვალდებულია გასაჩივრებულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია (ინვოის(ებ)ი, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, რეალიზებულ საქონელთან / გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტ(ებ)ი, პროგრამული ჩანაწერები და სხვა) შეინახოს 180 (ასოთხმოცი) დღის განმავლობაში და მოთხოვნისთანავე (დაუყოვნებლივ და/ან ბანკის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში/ფორმით) მიაწოდოს ბანკს.

დანართი #10

წინამდებარე დანართით რეგულირდება კომპანი(ებ)ის მიერ მასტერქარდის გადახდების სერვისის მიმწოდებელ პლატფორმასთან (Mastercard Payment Gateway System) ინტეგრაციით ონლაინ გადახდების მიღება:

• Mastercard Payment Gateway System (MPGS) - წარმოადგენს მასტერქარდის გადახდების პლატფორმას, რომელიც სხვადასხვა მეთოდებითა და არხებით ამუშავებს ონლაინ გადახდებს (შემდგომში „გადახდების მართვის პლატფორმა“). აღნიშნულ პლატფორმაზე ინტელექტუალური საკუთრების უფლება ეკუთვნის მასტერქადს.

• MPGS გადახდების მართვის პლატფორმა კომპანიას შესაძლებლობას აძლევს, აღნიშნულ პლატფორმასთან ინტეგრაციით, მიიღოს გადახდები ონლაინ/თვითონ მართოს გადახდები და ტრანზაქციები ონლაინ რეჟიმში.

• კომპანია, რომელსაც სურს ონლაინ გადახდების მიღებისთვის მასტერქარდის გადახდების მართვის პლატფორმით სარგებლობა, მისი მოთხოვნის საფუძველზე, ბანკის მეშვეობით ინტეგრირდება გადახდების მართვის პლატფორმასთან, ხოლო შემდეგ ბანკი უზრუნველყოფს ტრანზაქციების დამუშავებას/ანგარიშსწორებას. აღნიშნული განხორციელდება შემდეგნაირად: API (ციფრული პლატფორმების ერთმანეთთან დამაკავშირებელი სისტემა), უზრუნველყოფს ორ პლატფორმას შორის ინფორმაციის გადაცემას და წარმოადგენს შუამავალს კომპანიასა და მომხმარებელს შორის.

• კომპანია აცხადებს თანხმობას და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, კომპანიის MPGS გადახდების მართვის პლატფორმაზე რეგისტრაციისა და აღნიშნული პლატფორმით სარგებლობის მიზნით, MPGS პლატფორმას გადასცეს კომპანიის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის საფირმო სახელწოდება, მისამართი, საკონტაქტო მონაცემები) და ასევე, უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის და/ან თანამშრომლ(ებ)ის და/ან საკონტაქტო პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია/პერსონალური მონაცემები (მათ შორის სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, მობილურის ნომერი). კომპანია ადასტურებს და გარანტიას იძლევა, რომ მისი თანამშრომლისგან და/ან მისი წარმომადგენლისგან და/ან საკონტაქტო პირისაგან მიიღებს თანხმობას ამ პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების დამუშავებაზე, მონაცემების დამუშავებამდე/ბანკისთვის გადაცემამდე. ამასთან, კომპანია ვალდებულებას იღებს, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან მე-2 სამუშაო დღეს, წარუდგინოს ბანკს აღნიშნული თანხმობა.

• კომპანიისთვის ცნობილია და თანახმაა, რომ ბანკი MPGS პლატფორმას გადასცემს ინფორმაციას აღნიშნულ პლატფორმაში კომპანიის ჩართვისა და პლატფორმიდან გათიშვის თაობაზეც.

• იმისათვის, რომ კომპანიამ მის ვებგვერდზე შეძლოს ტრანზაქციების გატარება, კომპანიას ენიჭება შესაბამისი იდენტიფიკატორი (მერჩანტ ID) და უგენერირდება KEY (ტექნიკური ინტეგრაციისას, გადახდების შესასრულებლად და უსაფრთხო დაშიფვრასთან დაკავშირებული პარამეტრი).

• MPGSგადახდების მართვის სივრცეში კომპანიისთვის იქმნება მომხმარებელი („User”), რომლის მეშვეობით კომპანიას შესაძლებლობა აქვს გაიაროს ავტორიზაცია პლატფორმაზე და მართოს (დაადასტუროს/გააუქმოს/დააექსპორტოს და ა.შ.) შესაბამისი ტრანზაქციები.

• MPGS გადახდების მართვის პლატფორმის მეშვეობით, ბანკისთვის შესაძლებელი ხდება კომპანიის გადახდების მენეჯმენტი (ტრანზაქციის ხედვა / მართვა / რეპორტინგი და ა.შ.).

• კომპანია აცნობიერებს და ადასტურებს, რომ თუ კომპანია პლატფორმასთან პირდაპირ ინტეგრაციას ახორციელებს საერთაშორისო საგადახდო სისტემის - მასტერქარდის მეშვეობით/შუამდგომლობით, მასტერქარდის მიერ პლატფორმით სარგებლობის შესაძლებლობის შეჩერების და/ან შეწყვეტის შემთხვევაში (მიუხედავად მიზეზისა და/ან საფუძვლისა), ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი ამგვარ შეჩერებასთან/შეწყვეტასთან დაკავშირებულ შედეგებზე. იმ შემთხვევაში, თუ ბანკისთვის წინასწარ გახდება ცნობილი ამ დანართით განსაზღვრული მომსახურების მასტერქარდის მიერ შეჩერების და/ან შეწყვეტის შესახებ, ბანკი აღნიშნულთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ მოახდენს კომპანიის ინფორმირებას, ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმით.

• ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, კომპანიისთვის ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების და/ან ხელშეკრულებით და/ან ხელშეკრულების ნებისმიერი დანართით კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის და/ან კომპანიისთვის ფინანსური პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეუზღუდოს/შეუწყვიტოს პლატფორმით სარგებლობის შესაძლებლობა და მსგავს შემთხვევაში, ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი შეჩერების და/ან შეწყვეტის შედეგად კომპანიის მხარეს წარმოშობილ

შედეგ(ებ)ზე/ზიანზე/ზარალზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

• კომპანია ვალდებულია პლატფორმა გამოიყენოს ბანკის მიერ მითითებული ინსტრუქციის/წესის შესაბამისად და მხოლოდ იმ მიზნით, რისთვისაც ბანკმა გადასცა. დაუშვებელია აღნიშნული პლატფორმის სხვა მიზნით გამოყენება, პლატფორმის ან მისი ნაწილის ცვლილება/მოდიფიკაცია/განცალკევება.

• დაუშვებელია ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე ისეთი პროცესის/პროცესში ცვლილების (მათ შორის შეღწევადობის ტესტირების და ა.შ.) განხორციელება, რომელიც დაკავშირებული იქნება პლატფორმასთან.

• წინამდებარე დანართით დადგენილი პირობების დარღვევის შემთხვევაში, კომპანია პასუხისმგებელია ბანკისთვის დამდგარ ნებისმიერ ზიანზე.

• წინამდებარე დანართით განსაზღვრული მომსახურების დეტალური აღწერა / წესები / პირობები განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/mpgs

ბანკი
სს „თიბისი ბანკი“
საიდენტიფიკაციო #----------
მისამართი: ----------
ელ, ფოსტა: ----------

კომპანია/სუბ-ექვაირერი

საიდენტიფიკაციო #----------
მისამართი: ----------
ტელ,: ----------
ელ, ფოსტა: ----------